

ნ.ბ. ლ. პრინციპისა

4  
1966

№ 10 (1236) თბილისი, მაისი 1966

# საქსი

გამოცემის 43-ე წელი. ფასი 20 კპ.



— რად გინდა „საქართველოს ისტორია“, გამოცდა გაქვს?  
— არა, კაცო, ხვალ თამადა ვარ!





# საქართველოს ჟურნალი

( 2 M O 6 R M 3 A )

ქვემოთხაზული  
გონიერებისა

შუალამე გადასული იყო, როდესაც ბუდუ კვირიკაძე № 1 ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს. ძველი „პობედა“ სამსართულიანი სახლის ეზოს ჭიშკართან გაჩერდა. საავადმყოფოს თეთრი შენობის სილუეტი დიდხანს ჩანდა № 1 ქალაქში შემავალი საავტომობილო მაგისტრალიდან.

წვრილი ცოლშვილის პატრონი გლეხი ბუდუ კვირიკაძე კარგახანია იტყვიებდა ბრმა ნაწლავს. სოფლის ექიმი აფრთხილებდა, მუცელში ბომბი გიდევსო. ბუდუს სულ უკვირდა, რა ბომბზე იყო ლაპარაკი. ფრონტზე ნამყოფ კაცს ეს სიტყვა აშინებდა და უცნაურ ფიქრებს ალუძრავდა. ერთ მშვენიერ დღეს ბუდუ ქალაქში მანქანაში გაეუსინჯა. გამოცდილმა ქირურგმა უჩრჩია: პირველსავე ძლიერ ტკივილზე, რა დროც არ უნდა იქნეს, საავადმყოფოში წამოდი, თავი არ დაიღუპო.

იმ ღამეს ბუდუს მართლა საშინლად ატკივდა მუცელი. მუცელმტკივანს და მისიანებს პროფესორის მიცემული რჩევა-დარიგება ახსოვდათ და დრო აღარ დაუკარგავთ. სწრაფად გააღვიძეს ტკიბილად ჩაძინებული მეზობელი მძღოლი და მანქანა გამოაყვანივნეს. ბუდუ და მისი ბიძაშვილი კაცი მანქანაში ჩასხდნენ და ქალაქისკენ გასწიეს. ბუდუ საავადმყოფოში შეიყვანეს. მარტოდ დარჩენილმა მძღოლმა კარგახანი უარა მანქანას გარშემო, ბოლოს შიგ შევიდა და დაიძინა.

ბუდუ კვირიკაძეს თავზარი დაეცა, როდესაც გაიგო, რომ მისი მოყვარე პროფესორი არც საავადმყოფოში იყო, არც შინ, და, რაც მთავარია, არც იმ ჩვენს № 1 ქალაქში. ამის გაგებაზე ტკივილებმა უმატა. მიმდებმა ექთნებმა უთხრეს: მორიგე ქირურგი ადგილზეა, შიში ნურაფრის გაქვს, ამ უბრალო საქმეზე პროფესორის მოცდენა მიზანშეწონილიც არააო. რაც მეტს ამშვიდებდნენ, ავადმყოფი მით უფრო ნერვიულობდა და სხვა ექიმის სახელის გაგონებაზე გულს ეყრებოდა. ამ ტკიბილ ლაპარაკში ბუდუს ტანსაცმელი გამოუცვალეს, მოძრავ საწოლზე დააწვინეს და, პროტესტის მიუხედავად, დერეფანში გააგორეს. მერე იქვე რაღაც ჩურჩული და ლაპარაკი შეიქმნა. ეტყობოდა, მეტ-

ზე საღა წაეყვანათ, ვერ გადაწყვიტეს. მკრთალად განათებულ დერეფანში ასე, ორმოციოდე წლის, ახალგაზრდა (შეიძლება) გამოჩნდა. სქელი, მაღალი კაცი, რომელსაც თეთრი ხალათი პირდაპირ უმკლავებო პერანგზე ეცვა და უკან მიშველი ზურგი მოუჩანდა, თვალების ფშვნებით მოდიოდა.

— აბნედიციტის მწვავე შეტევაა, არჩილ თეიმურაზოვიჩი! — უთხრა მორიგე ექთანმა.

— რომელია? — ხრინწიანი ხმით იკითხა ექიმმა და ნამძინარეგ თვალეში მუჭი ამოისვა.

— ეს არის! — ბუდუს გადახედდა ექთანმა.

— შემოაგორეთ მერე და გაეჭრათ! — დაამთქნარა „არჩილ თეიმურაზოვიჩმა“.

ამის გაგონებაზე, ბუდუ კვირიკაძეს ცივი ოფლი დაედინა და ბრმა ნაწლავის არსებობაც გადავიწყდა.

— რა გტკივა, კაცო შენ? — მიადგა სქელი ექიმი კვირიკაძეს.

— ფერდს ვიტყვივებ, ბატონო, მაგრამ ახლა კი გამიარა! — საწყლად გაიღიმა ავადმყოფმა.

— გაგიარა? — გაეხარდა ბუდუს.

— გაგიარა, ა?! — გაიმეორა ექიმმა და ავადმყოფს საბანი მოურიდებლად გადახადა, ფეხი მოუღუნა და ისეთი მტკივნეული იღეთი გაუკეთა, რომ კვირიკაძემ სიმწრით იღრიალა.

— არ ტკივა! — ჩაიციხა კმაყოფილმა ქირურგმა, მერე უკან მიტრიალდა და ექთან ქალებს რაღაც ხმადაბლა გადაულაპარაკა. ეს საუბარი, ბუდუ კვირიკაძის მიხედვით, არც მეტს, არც ნაკლებს, საოპერაციოდ გამზადებას და მის დაღუპვას ნიშნავდა.

— ვერ გავიკეთებ ბატონო! — თქვა მან მოულოდნელად და თავისმა გაბედულებამ შეაკრთო.

— რატომ? — ძალიან წყნარად ჰკითხა ექიმმა.

— პროფესორი იყო, ბატონო. ჩემ მორჩენას შეპირებული, ახლობელი კაცია, ჩამოვა და მაშინ გავიკეთებ!

— ის რომ ჩამოვა, მე მგონი, აპერაცია აღარ დაგჭირდება! — საკმაოდ ბუნდოვნად დააიხედა ექიმმა.

— ამეღამ მოვიტმენ და ხვალ რაღაცა იქნება! — ჩაილაპარაკა დაფიქრებულმა ბუდუმ.

— ამეღამ თუ გარდაიცვალე, რას იზამ? — დაინტერესდა ექიმი.

— არა, ბატონო, მაინც ვერ გავიკეთებ! — დაიჭინა კვირიკაძე.

— შენ რა გენადვლება, მოკვდები და პასუსს მე მომთხოვენ! — გაბრაზდა „არჩილ თეიმურაზოვიჩი“ და უფროს ექთანს უთხრა, გაამზადე, რაც საჭიროაო. ექთანს ქუსლების კაკუნით წავიდა საოპერაციოსკენ. ავადმყოფი და ექიმი მარტო დარჩნენ.

— არ დამღუპო, ბატონო! — დაიჯღანა ავადმყოფი.

— დაღუპული არა ხარ? მე რა უნდა დაგღუპო! — უთხრა ექიმმა.

კვირიკაძე საწოლზე წამოჯდა და ძირს გადმოსვლა დააპირა.

— არ გაუშვათ! — მშვიდად თქვა ექიმმა, თუმცა იქ არც გამშვები იდგა ვინმე და არც დამჭერი.

— ბატონო, აღარ მტკივა არაფერი! — იყვირა თეთრზეწარმოხვეულმა, საწოლზე კეისარივით შემომჯდარმა კვირიკაძემ.

— ნუ ღრიალობ, ავადმყოფები არ შემიძინო! — გააფრთხილა ექიმმა.

— სინდისს და პატიოსნებას გეფიცებით, აღარაფერი არ მაწუხებს! — ხმას დაუწია ბუდუმ, რომელსაც სინამდვილეში აღარაფერი ტკიოდა.

— მართლა აღარ გტკივა? — გაუკვირდა ექიმს.

— არა, ბატონო, ღმერთი არ გწამთ? გამიშვით, არ გამჭრათ!

— მაგას ვერ ვიზამ, ხელები მექავება!

— არ გამჭრათ და ჩემზე იყოს პატივისცემა!

— კარგი, კაცო, კარგი! ასე იცით თქვენ... დაპირებებში მაგრები ხართ და, საქმე საქმეზე რომ მიდგება, მერე არც პატივისცემა გახსოვთ და არც არაფერი.

— რავე გეკადრება, ბატონო! — წამოიძახა ბუდუმ, პერანგის სახელოში წინასწარ დამალული ფული გამოადრო და ექიმს ხალათის ჯიბეში ჩაუდო, მაგრამ ისე უხეიროდ, რომ სამჯერ ააცილა ხელი უზარმაზარ ჯიბეს.

— რა არის ახლა ეს?! — და-

ტუქსა ექიმმა, როდესაც ბუდუმ თავისი საქმე მოათავა.

— ახლა ამაზეც უარი არ მითხრათ, თუ არა გავიკვლები!

— მაინც შენი გაიტანე ხომ? — გაუკვირდა ექიმს.

— გაიხარეთ, დაილოცოს თქვენი მარჯვენა და სწავლა-განათლება! ეტყობა, ყველა გაჭირვებული გეცოდებათ! წავიდე ბატონო?

— წადი, მაგრამ მეორედ ასეთი რამე აღარ გამიბეღო! — დაემუქრა ექიმი.

ათი წუთის შემდეგ ჩაცმული, დაწყნარებული, საღსალამათი ბუდუ კვირიკაძე ისევ „პობედაში“ იჯდა და სოფლისკენ მიდიოდა.

— არ დაჭირდა, არჩილ თეიმურაზოვიჩი, ოპერაცია? — ჰკითხა ექთანმა ექიმს.

— სიმულიანტია, ვილაცა! — დაამთქნარა „არჩილ თეიმურაზოვიჩმა“ და დასაძინებლად წავიდა.

ამასობაში „პობედა“ სოფლის შარაზე აჯაყჯაყდა და მძღოლი, რომელსაც საჭეზე ეძინებოდა, მანქანა გამოფხინვდა. მანქანა მალე გაჩერდა ბუდუს სახლის წინ. თენდებოდა. აღმოსავლეთით ცა შეწითლებულიყო. ბუდუმ მანქანის კარი გამოაღო და ჯიბეში ხელის ფათური დაიწყო.

— რას ეძებ ახლა შენ?! — მკაცრად ჰკითხა მძღოლმა.

— არაფერს! — მუჭში ფული დამალა ბუდუმ.

— არ გაბედო, თუ არა, ძალიან მეწყინება! — გული მოუვიდა მძღოლს.

— შე კაცო, რა მოგივიდა?! — ხელი გაუშეშდა ბუდუს.

— მართლა მეწყინება, მამა ნუ წამიწყლებს!

— მთელი ღამე გათევენე, შე კაცო! — შეწუხდა ბუდუ.

— მათევიწე თუ არა, დისერტაცია მქონდა დასაწერი... რომ რამე გავეკეთებია, კიდევ მესმის, ტყუილა გატარე აქეთ-იქით!

— მერე შენი რა ბრალია? — ხმადაბლა ჩაილაპარაკა ბუდუმ.

— ჩემი ბრალი კი არაა, მაგრამ საქმე რომ არ გამოგვივიდა, არ გამეხარდა! — თქვა რაღაცაზე დაფიქრებულმა მძღოლმა და ბუდუს დაემშვიდობა.

რეზო ზვირილი



### საქართველო ნიანგი

წყალტუბოს რაიონის სოფელ მუხიანის მე-4 ბრიგადის წევრები მეტად კმაყოფილი ვართ იმით, რომ ჩვენს ახლოს ხელოვნური ზღვა შექმნა ბუნებამ. ახლა არც ლაფი გვაკლია და არც ბაყაყების კონცერტი. ოღონდ, გზა დაფარა წყალმა და ცოტათი ეს გვაწუხებს.

შენ გენაცვალე, ნიანგი! იქნებ, როგორმე, პატარა გემი გამოგვიგზავნო, თორემ მუხიანისა და ქვიტირის მცხოვრებთ ერთმანეთის ნახვა არ გვიწერია!

შვამო ლაფიანავი.

### შენი ზირიმა, ნიანგი

ჭიათურის რაიონის სოფელ ზედა უსახელოს ნორჩმა ფეხბურთელებმა ჯერ 1964 წელს გავაკეთეთ მოედანი და, ის-ის იყო, ბურთის თამაშაც უნდა დაგვეწყუო, რომ, კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებით, გადაგვიხნეს იგი. მერე უკაცრიელი ადგილი მოვქებნეთ და იქ გავაკეთეთ მოედანი; ისიც გადაგვიხნეს, თუმცა, დათესვით არაფერი დაუთესავთ.

ნიანგს ვენაცვალე! ერთი გაგვიგე, კიდევ რომელი ნაკვეთის გადახვნას აპირებს ჩვენი კოლმეურნეობის გამგეობა, მიწა რომ გავუწმინდავავსუფთავოთ?

შმოედნო ფეხბურთელები.

### ბაბიკვიამულო ნიანგი


თქვენ რომ შეგვიკითხოთ, რას ინახვენ შემნახველ სალაროში, ისიც ცენტრალურშიო, აღბათ, დაუფიქრებლად უბახუხებთ — ფულს! მაგრამ, ყველგან როდია ასე. მაგალითად, ქალაქ ტყვარჩელის ცენტრალურ სალაროში, ფულთან ერთად, ოჯახების შემოტანა-შემოსახლებაც დაიწყეს და, პირდაპირ უნდა ითქვას, შესანიშნავი შედეგი გამოიღო. გავკვირვებას მხოლოდ ის იწვევს, რომ აქამდე სხვა ცენტრალური სალარო რატომ არ იზიარებს ჩვენს გამოცდილებას? ადამიანი ხომ ყველაზე ძვირფასი კაპიტალია, ხოლო ადამიანებისგან შემდგარი ოჯახი — განუსაზღვრელი კაპიტალი!

ძვირფასო ნიანგი! რაც ახალი მეთოდით მუშაობა დავიწყეთ, სალაროს საქმიანობისთვის სულ აღარ გვცალია, ისე ვართ გართული ოჯახური საქმეებით და, იქნებ, შენ მაინც გავაგებინო, რა ხდება ქვეყანაში? კიდევ შეაქვთ ფული მოქალაქეებს შემნახველ სალაროებში, თუ პირდაპირ ოჯახიანად სახლებიან შიგ?

დაოჯახებული შიმსალარო.

### შენ განაცვალე, ნიანგი

თიანეთის რაიონში არის სამი სოფელი: ალოტი, ველები და ნაჭრიანი — უკლებუბო, უკინოლო, უმაღაზიო, უმედბუნქტო. უწინ აღწევანს მიდი-



ნიანგი უკლებუბო ვაყულოცოცო

სილატაის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყოფილ მილიარდ-ნახევარ დოლარს ფაფარაყრილი შეხვდა აშშ-ის კონგრესი, მაშინ, როდესაც ვიეტნამში წარმოებული ბინძური ომისათვის გამოყოფილი 13 მილიარდი აღფრთოვანებით დაამტკიცა.

შეერთებული შტატების საკანონმდებლო ჯუნგლებში კაცს ადვილად შეუძლია კისრის მოტეხვა. მოგვყავს უმნიშვნელო ნაწილი იმ „არაჩვეულებრივი“ კანონებისა, რომლებიც ზოგიერთ შტატში დღესაც ძალაშია:

**მინესოტის** შტატში ქალისა და კაცის საცვლების თოკზე ერთად გადაკიდება აკრძალულია.


**ინდიანას** შტატში ტრამვაით ვერ იმგზავრებთ, თუ ოთხი საათი არ გავიდა მას შემდეგ, რაც ნიორი მიირთვით.

**ილინოისის** შტატში შეიძლება დააბატიმრონ ქალი, რომელმაც მალაზიაში ექვს კაბაზე მეტი მოისინჯა.

**კალიფორნიაში** ისე ვერ დადგამთ სათაგურს, ნადირობის მოწმობა თუ არა გაქვთ.

**მიჩიგანის** შტატში, ქარის საწინააღმდეგოდ ფურთხება სასტიკად აკრძალულია.

**არიზონის** შტატში საპნის ქურობაზე დაბატიმრებულმა კაცმა იქამდე უნდა იზანოს ტანი, სანამ მოპარული საპნი არ დაეღვევა.



ოდა გლენი მარილის მოსატანად, ჩვენ კი თიანეთში გვიხდება სიარული. დიდი შეღავათია! გვიშველე რამე, ძმაო ნიანგი!

შვარილოვანი.

### საქართველო ნიანგი

თუ გინახავს, რომ „საჩაიე“ ეწეროს და ბასთურმას ყიდდნენ? მაღონა ერქვას და სილიბისტროს ეძახდნენ? არა? მეც ასე ვიცოდი, მაგრამ შევცდი. ქობულეთში, დასასვენებელი სახლი, რომელსაც მშვენიერი სახელი — „დედა

და ბავში“ ჰქვია, არც დღემდე ვხედავ არც ბავშვებს. ამ კეთილშობილ ქალს, რატომ-ღაც, მხოლოდ დიდ-დიდები შეჰყვარებია და საგზურებზეც საგულდაგულოდ მიუწერია:

„კურორტი ქობულეთი, დასასვენებელი სახლი „დედა და ბავში“

დიდებისათვის — უბავშვებოდი! რა დააშავეს ბავშვებმა, რა აწყენინეს ასეთი? იქნებ, შენ მაინც გავვიგო, საყვარელო ნიანგი!

3. ბავშვიანი

მთავარი რედაქტორი  
ნოდარ დუმბაძე.

სარედაქციო კოლეგია: ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, გ. ნიშნიანიძე, ნ. შველიძე, თ. ჭელიძე.

საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-78

ხელმოწ. დასაბ. 11/V-1966 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კ. ც. გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 1652 უფ. 03036 ტირაჟი 50000



3  
ვარა ზეპირ  
თავისი საუკუნე  
ამ მდელიძე  
ქა დაიხიან  
ხედილობა!

ნახ. ბ. ლომიძისა

— ქალბატონო, მართლა ცვლით ბუდეს?  
— დიახ, ოღონდ ვაკეში!